



დამტკიცებულია

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის  
2021 წლის 25.02 N 01-33  
შემაჯობით

**სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი და პროცედურა**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. წინამდებარე დოკუმენტის შემუშავების მიზანია სსიპ - კოლეჯში „მერმისი“ (შემდგომში „კოლეჯი“) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (შემდგომში – ფორმალური განათლების აღიარება) პროცესის ორგანიზებული წარმართვა, დოკუმენტური უზრუნველყოფა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა.
2. ფორმალური განათლების აღიარებას კოლეჯი ახორციელებს წინამდებარე წესის შესაბამისად.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ფორმალური განათლება - მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შექმნას და აღნიშნულის სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებას.
- ბ) განმცხადებელი - ფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირი.
- გ) კომისია - ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია.

**მუხლი 3. ფორმალური განათლების აღიარების საფუძველი**

1. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის

შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

3. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ 3 (სამი) კალენდარული თვის ვადაში, იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა.

#### მუხლი 4. ფორმალური განათლების აღიარების პროცედურა

1. განმცხადებელი უფლებამოსილია ფორმალური განათლების აღიარების თხოვნით მიმართოს კოლეჯს, ამასთან ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ.

2. აღიარების პროცედურის დაწყების საფუძველია პირის მიერ კოლეჯში წარდგენილი წერილობითი განცხადება.

3. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) განცხადების წარდგენა (დანართი N1);

ბ) კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება;

გ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;

დ) კოლეჯის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

4. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღებიდან.

#### მუხლი 5. ფორმალური განათლების აღიარების შეზღუდვა

1. დაუშვებელია აღიარება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პირს დაწესებულების მიერ ერთხელ ეთქვა უარი კონკრეტული სწავლის შედეგების აღიარებაზე, კონკრეტული პროგრამის მიზნებისათვის.

ბ) აღიარების შესახებ განაცხადის წარდგენამდე განხორციელდა პირის შეფასება პროგრამის ფარგლებში, განაცხადით მოთხოვნილი ასაღიარებელი სწავლის შედეგების ნაწილში;

გ) პირის მიერ არ არის წარმოდგენილი ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

დ) შეუძლებელია მიღწეული სწავლის შედეგების იდენტიფიცირება ამ წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის.

## მუხლი 6. განცხადების წარდგენა

1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზნით, დაინტერესებული პირი/დაინტერესებული პირის კანონიერი წარმომადგენელი კოლეჯს წარუდგენს განცხადებას.
2. განცხადებას თან უნდა ერთოდეს:
  - ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - ბ) კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (განცხადების წარმომადგენლის მიერ წარმოდგენის შემთხვევაში);
  - გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი - დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს.
3. განცხადებას შესაძლებელია ერთოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე.
4. კოლეჯი უფლებამოსილი არ არის განმცხადებელს მოსთხოვოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა ამავე კოლეჯის მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.
5. განცხადება წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:
  - ა) დაწესებულების დასახელებას;
  - ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

- გ) განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;
- დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;
- ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;
- ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;
- ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;
- თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

6. კოლეჯი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი კოლეჯს არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, კოლეჯი განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

7. თუ კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, კოლეჯი უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

#### მუხლი 7. კომისიის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება

1. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია არანაკლებ 3 (სამი) წევრის შემადგენლობით, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) ხარისხის მართვის მენეჯერი;

ბ) სასწავლო პროცესის მენეჯერი;

გ) შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი პირ(ებ)ი/დარგის სპეციალისტი;

5. პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების შემთხვევაში, კომისიის ერთ-ერთ წევრად შეიძლება განისაზღვროს პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი (დარგის სპეციალისტი).

6. კოლეჯი უფლებამოსილია კომისიის განხილვაზე მოიწვიოს განმცხადებელი, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

7. კომისია თავის შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს. კომისია ირჩევს ასევე კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

8. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
9. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გამამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
10. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
11. კომისიის წევრები სამუშაოს დაწყებამდე ვალდებული არიან, მოახდინონ კოლეჯის დირექტორის ინფორმირება ინტერესთა კონფლიქტის ან პროცესის სხვა ხელისშემშლელი გარემოების/გარემოებების შესახებ, რასაც ადასტურებს „კონფიდენციალობისა და მიუკერძოებლობის დეკლარაციაზე“ ხელმოწერით (დანართი N2).
12. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.
13. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.
14. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.

#### **მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღება**

1. სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებისას კომისია ეყრდნობა მხოლოდ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ამასთანავე კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში განმცხადებელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა.
2. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
  - ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;
  - ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
3. აღიარებული სწავლის შედეგების მიღწევა პირს დადასტურებულად ეთვლება.

4. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.

5. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.

6. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) დაწესებულების დასახელება;

ბ) განმცხადებლის ვინაობა;

გ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;

დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;

ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;

ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.

7. კოლეჯი ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

#### მუხლი 9. გასაჩივრების წესი

1. განმცხადებელი უფლებამოსილია ისარგებლოს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით.

2. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით, მაძიებელი გადაწყვეტილების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს და ითხოვს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვას.

3. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით ქმნის სააპელაციო კომისიას კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის მიზნით.

4. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) კოლეჯის ან/და სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი მიმართულების პროფესიული განათლების მასწავლებელი/მასწავლებლები;

- ბ) კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები.
5. სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზნით შექმნილი კომისიის წევრი.
  6. სააპელაციო კომისიის თავჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, ხმათა უმრავლესობით ირჩევს კომისია.
  7. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
  8. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავჯდომარის ხმა.
  9. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.
  10. სააპელაციო კომისია აფასებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზნით შექმნილი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობას, იგი უფლებამოსილია შეცვალოს აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილება (განმცხადებლის სასარგებლოდ) ან დატოვოს ძალაში, თუ განმცხადებლის მიერ წარდგენილი საჩივარი უსაფუძვლო ან დაუსაბუთებელია.
  11. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

#### მუხლი 10. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს წინამდებარე წესის კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებას.
2. პროფესიული სტუდენტის კონსულტირებას ფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებით უზრუნველყოფს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი.

#### მუხლი 11. ფორმალური განათლების აღიარების შედეგების განთავსება მართვის საინფორმაციო სისტემაში

1. ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ შესაბამის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

2. შესაბამისი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნამდე პროცესი წარიმართება მატერიალური სახით, კოლეჯი უზრუნველყოს ფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვას და სისტემის შექმნის შემდეგ 2 თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სისტემაში მათ ასახვას.

### მუხლი 12. გარდამავალი დებულებები

3. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირი, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა 2021 წლამდე, უფლებამოსილია მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება წინამდებარე წესის დამტკიცებიდან 3 (სამი) კალენდარული თვის ვადაში, იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა.

შეთანხმებულია:

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“

დირექტორის მოადგილე

/დავით უგულავა/

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“

დირექტორის მოადგილე

/დავით გულაზიანი/

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“

ხარისხის მართვის მენეჯერი

/ნანა ნამბალაძე/

შემსრულებელი:

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“

იურისტი

/დავით გულაზიანი/



-----

განმცხადებლის სახელი და გვარი: \_\_\_\_\_

ფაქტობრივი მისამართი: \_\_\_\_\_

იურიდიული მისამართი: \_\_\_\_\_

ელ-ფოსტა: \_\_\_\_\_

ტელ: \_\_\_\_\_

შევსების ადგილი და თარიღი: \_\_\_\_\_

### განცხადება

#### მოთხოვნა

(მიუთითეთ სწავლის შედეგი/შედეგები რომლის აღიარებასაც ითხოვთ)

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

თანდართული საბუთების ნუსხა:

1. \_\_\_\_\_
2. \_\_\_\_\_
3. \_\_\_\_\_
4. \_\_\_\_\_

ხელმოწერა

*კონფიდენციალობის და მოუკერძოებლობის დაცვის დეკლარაცია*

სახელი, გვარი \_\_\_\_\_

პოზიცია \_\_\_\_\_

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ საქმანობისა და სამუშაო პროცესებში მიღებულ ინფორმაციას, დავიცავ კონფიდენციალურად. ინფორმაცია არ იქნება გამჟღავნებული მესამე პირზე, გარდა კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი თანხმობისა.

ვადასტურებ, ვიყო მოუკერძოებელი, თავისუფალი ფინანსური თუ კომერციული ინტერესებისა და ზეწოლისგან, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას გამოვრიცხო ინტერესთა კონფლიქტი.

ხელმოწერა \_\_\_\_\_

თარიღი \_\_\_\_\_